საქართველოს მთავრობის

დადგენილება №351

2013 წლის 23 დეკემბერი

ქ. თბილისი

საქართველოს ინტეგრირებული ტარიფის დამტკიცების შესახებ

მუხლი 1

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 210-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად დამტკიცდეს საქართველოს ინტეგრირებული ტარიფი (№1, №2, და №3 დანართები).

მუხლი 2

ამ დადგენილების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს საქართველოს მთავრობის 2011 წლის 13 იანვრის №18 დადგენილება „საქართველოს ინტეგრირებული ტარიფის დამტკიცების შესახებ“.

მუხლი 3

საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ, საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში სისტემატურად უზრუნველყონ შესაბამის ნორმატიულ აქტებში განხორციელებული ცვლილებების საქართველოს ინტეგრირებულ ტარიფში ასახვა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით, წარმოუდგინონ წინადადებები საქართველოს მთავრობას.

მუხლი 4

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**